გილოცავთ, ბორჯომ-ქალაქობის დღესასწაულს!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

7 სექტემბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№37-38 (9300)
ფასი 40 თეთრი

## მახარებს თქვენი დღესასწაული

### ბესიკ ამირანაშვილი



სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი სამცხე-ჯავახეთის მხარეში

ბორჯომი სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი, ულამაზესი ქალაქია. სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ინიცირებული პროგრამის, განახლებული რეგიონების პირველი ეტაპი და კიდევ უფრო გალამაზდა ქალაქი. ტურისტული მიზიდულობის ცენტრი ვიზიტორებისთვის, ისევე როგორც ადგილობრივებისთვის, ყოველწლიურად უფრო მეტად კომფორტული ხდება, რაც მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ტურიზმის სფეროა ბორჯომელების ძირითადი შემოსავლის წყარო.

ჩვენი მთავრობის დახმარებით ძალისხმევას არ ვიშურებთ და კიდევ მეტს გავაკეთებთ ქალაქის კიდევ უფრო გასავითარებლად, რათა ჩვენი მოქალაქეების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

## უფალმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

### მეუფე დანიელი

ჭიათურის, საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი



ბორჯომ-ქალაქობა ჩვენი მშობლიური კურორტ-ქალაქის ტრადიციული დღესასწაულია. ამ ზეიმში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები ისე სტუმრები, მოაგარაკეები, ტურისტები.

სიხარულით მინდა აღვნიშნო ის ფერისცვალება, რაც ჩვენმა პატარა ქალაქმა განიცადა უკანასკნელ წლებში.

შევთხოვ უფალს მშვიდობა, კეთილდღეობა და სიყვარული სუფევდეს ბორჯომ-ქალაქის მცხოვრებთა ოჯახებში.

მწამს, მომავალში ბორჯომი კიდევ უფრო დამშვენდება, რაშიც დიდია თითოეული ბორჯომელის წვლილი.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქალაქი, ღვთის წყალობა არ მოკლებოდეს მის თითოეულ მცხოვრებს და სტუმარს.

## ვიამაყოთ ბორჯომის წარსულით ვაშენოთ მისი მომავალი

### ანტონ ობოლაშვილი,

ახალციხის, ბორჯომის, ადიგენის, ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატი.



ბორჯომი არის დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქალაქი, ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილი დასვენებისათვის, მთის სპორტისათვის, ლაშქრობისატვის თუ ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ნიმუშების გასაცნობად.

ბორჯომი მსოფლიოში ცნობილი მინერალური წყლების სამშობლოა.

ბორჯომმა ბევრი წარმატებული ადამიანი აღზარდა, რომლებმაც თავისი მოღვაწეობით ჩვენი ქალაქი და სამშობლო ასახელეს.

ტრადიციულად „ბორჯომ-ქალაქობის" ზეიმზე ავირცევთ საპარიო მოქალაქეებს, რომლებმაც თავისი ღვაწლისა და დამსახურებისატვის დაიმსახურეს ეს საპატიო წოდება.

ჩვენ ყველამ უნდა ვიამაყოთ ბორჯომ-ქალაქობის წარსულით და ერთად ვაშენოთ მომავალი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ჩვენი ქალაქისათვის ყველაზე მნიშვნელოვან დღეს - ბორჯომ-ქალაქობას, გისურვებთ წარმატებას, მშვიდობას და ბედნიერებას!

## ვიღვაწოთ მშობლიური ქალაქისათვის

### ოთარ არზოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი



„ბორჯომი ნიშნავს სიყვარულს, ტრადიციას, ისტორიას. ბორჯომელობა კი, უდიდესი პასუხისმგებლობაა. ეს არის ქალაქი, სადაც ერთხელ მაინც თუ მოხვდები, არასდროს დაგავიწყებს თავს.

გილოცავთ დღევანდელ დღეს ჩემო ბორჯომელებო, ბორჯომზე შეყვარებულო ადამიანებო და ბორჯომის სტუმრებო. განსაკუთრებით კი, მინდა მივულოცო ბორჯომზე მზრუნველებს, ჩვენს პედაგოგებს, მედიკოსებს, მეეზოვეებს, მებაღეებს და ყველას, ვინც ძალისხმევას არ იშურებს და თითქმის უწყვეტ რეჟიმში ზრუნავს ჩვენს ქალაქზე.

გულითადად გილოცავთ ბორჯომ-ქალაქობას, გისურვებთ წარმატებებს, მშვიდობასა და ბედნიერებას.

## ვიზრუნოთ უკეთესი მომავლისთვის

### დავით ზაალიშვილი,

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ჩემო ძვირფასო თანაქალაქელებო! მთელი გულით გილოცავთ „ბორჯომ-ქალაქობის" დღესასწაულს. ეს არის ქალაქი, რომლის სიყვარული ყველას გვაერთიანებს და გვაძლევს სტიმულს, ვიფიქროთ მის განვითარებასა და აღმშენებლობაზე, რათა თითოეულ ბორჯომელს შევუქმნათ ნათელი გარემო და უკეთესი ცხოვრებისეული პირობები.

განსაკუთრებით კი მინდა, მივულოცო ჩვენს ქალაქზე მზრუნველ ადამიანებს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ და უწყვეტ რეჟიმში ზრუნავენ ბორჯომსა და ბორჯომელებზე.

ბორჯომი უბრალო ქალაქი არ არის. ის დიდი ისტორიის, მსოფლიოში ცნობილი მინერალური წყლების სამშობლოა, რომლითაც ყველა ასე ვამაყობთ. ბორჯომი ქალაქია, სადაც ძალიან ბევრი წარმატებული ადამიანი აღიზარდა და თავისი სამშობლო ასახელა. ჩვენ კი დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რათა მის ისტორიას არ გადავუხვიოთ და ვიაროთ წინ, უკეთესი მომავლისაკენ.

ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიამაყოთ ქალაქის წარსულით, ვაშენოთ აწმყო და ვიფიქროთ მის ღირსეულ მომავალზე.

კიდევ ერთხელ, გილოცავთ ჩვენი ქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დღეს - „ბორჯომ-ქალაქობას!"



## ბორჯომი - ჩვენი ღირსება და სიამაყე

იტყვით „ბორჯომს" და შეუძლებელია ადამიანს სახეზე კმაყოფილებისა და აღტაცების ღიმილმა არ გადაუაროს, ბორჯომში გატარებული დღეები არ გაახსენოს, მისი ბუნების სიმშვენიერით და უკვდავების მინერალური წყლების მომმაჯადოებელი თვისებების სიამოვნებამ გული არ აუჩქროლოს, აქაური სტუმარმასპინძლობის დიდებული ტრადიციები და პატივისცემა არ გაახსენოს.

**ბორჯომი** - იყო მკურნალობის და დასვენების სრულყოფილი პირობები;

**ბორჯომი** - სხვა ყველა დანარჩენი კუთხისა თუ ქალაქისაგან გამოირჩეოდა შესანიშნავი ბუნებრივი კლიმატით, მომსახურების მაღალი კულტურით.

**ბორჯომის** შესახებ წერდნენ, რომ:

**ბორჯომი** მსოფლიოში აღიარებული სახელგანთქმული მინერალური წყლის მწარმოებელია;

**ბორჯომი** - ბუნების სიმშვენიერის სავანეა;

**ბორჯომი** - ტურიზმისა და დასვენების საუცხოო მხარეა;

**ბორჯომი** - კავკასიის მარგალიტია;

**ბორჯომი** - მუზების საუფლოა;

**ბორჯომი** - სიყვარულისა და ძმობის ქალაქია;

**ბორჯომი** - სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კარიბჭეა;

**ბორჯომი** - ის წალკოტია, რომელსაც თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება, მასპინძელიც და სტუმარიც მოვალეა უფრთხილდებოდეს დღემდე შექმნილს და ზრუნავდეს უკეთესი მომავლის ასაშენებლად;

**ბორჯომი** - ის ადგილია, სადაც შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც ამაყობენ მშობლიური ქალაქით;

**ბორჯომი** - უკანასკნელ წლებში თანდათან იბრუნებს დაკარგულ პოზიციას, რაც ნამდვილად სასიხარულო და საამაყოა.

**მარჯვენა დაელოცოს ყველას, ვინც ზრუნავს ბორჯომის განახლება-აღმშენებლობისათვის. უფალმა დალოცოს ბორჯომის ცის ქვეშ მცხოვრებლები და მისი სტუმრები!**

**„ბორჯომ-ქალაქობის" დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!**

„ბორჯომ-ქალაქობა" მეგობრობის, სიყვარულის,

# ერთი წლის გადასახედიდან

## გთავაზობთ ინტერვიუს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან, ბატონი გიორგი ტაბატაძესთან.

**● ბატონო გიორგი, საუბარი დავიწყოთ სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონებით", რა შეცვალა აღნიშნულმა პროგრამამ ბორჯომში?**

– სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონები" 4 წელი გრძელდება და მოგეხსენებათ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს. პროგრამის მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარს შეადგენს და რეგიონების ურბანულ განახლებას ითვალისწინებს, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მდებარეობების განვითარებას მოიცავს.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერის და მოედნის რეაბილიტაცია დასრულდა.

ბაღის ტერიტორია დაიყო მოსასვენებელ და გასართობ სივრცეებად. გასართობ სივრცეებში საბავშვო მოედანი, ჭადრაკის სათამაშო დაფა და ღია კინოთეატრი მოეწყო. ტერიტორია გალამაზდა შადრევნებით და დეკორატიული განათებებით. ფუნქციური ზონები ერთმანეთს დაუკავშირდა გრანიტის ქვაფენილით, რომელიც განათებულია ლამპიონებით. ტერიტორიაზე განთავსდა სკამები და სასმელი წყლის ბიუვეტები.

კოსტავას სახელობის მოედნის რეაბილიტაციის ფარგლებში გზის სავალი ნაწილი ქვაფენილით მოპირკეთდა, ასევე მოეწყო პატარა სკვერი.

**● როგორ მიმდინარეობს სამუშაოები, რომლებიც 2023 წლისათვის დაიგეგმა?**

– ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭობისხევში, ქვაბისხევსა და ტიმოთესუბანში შიდა საუბნო გზების კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა.



სოფელ მზეთამზეში კი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ჯამში, არმირებული ბეტონის გზის საფარი ოთხ სოფელში მოეწყო. გზის გასწვრივ ასევე გაკეთდა სანიაღვრე არხი და ეზოებში შესასვლელები.

პროექტები რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

აღსანიშნავია ბორჯომში სააკაძის ქუჩაზე №2 არსებული მრავალსართულიანი კორპუსის ფასადის, რუსთაველის ქუჩის №91-93-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავისა და ფასადების რეაბილიტაცია. სოფელ მზეთამზეში კი თედიაშვილების უბანში საავტომობილო გზის, სოფელ ტიმოთესუბნის ახალ დასახლებაში და სოფელ საკირეში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები.

დაწყებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ სადგერიდან გოგირდის აბანოებამდე ჩასასვლელი საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია, რომელიც ნოემბრის დასაწყისში დასრულდება.

ხოლო ახალდაბაში საბავშვო ბაღის შენობის ფასადის რეაბილიტაცია და შენობაზე მზის ენერგიის სადგურების მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა.

მიმდინარეობს ბორჯომში, თორის ქ. №40-ის მიმდებარედ ფერდობის დამცავი კედლის მოწყობა და ამასთან ბაკურიანში გზის ფერდობის დამჭერი კედლის სამაგრი სამუშაოები.

რუსთაველის ქუჩაზე, სანაპიროზე სკვერის მოწყობის მეორე ეტაპიც დასრულდა და მოსახლეობა უკვე სარგებლობს აღნიშნულ სივრცით, ასევე



დასრულებულია სოფელ ციხისჯვარში სასმელი წყლის მაგისტრალის მილსადენის რეაბილიტაცია.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების გამყოლი სანიაღვრეების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოები ინტენსიურად გრძელდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფელ ყვიბისის, ხუთ ჩიხში გზის რეაბილიტაცია განხორციელდა. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი და ცენტრალირი ბიუჯეტიდან 60 000 ლარი გამოიყო.

ასევე, სოფელ ყვიბისში „კვახიან ღელეზე" ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, 105 მეტრზე ნაპირდამცავი კედელი მოეწყობა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 448 999 ლარია გამოყოფილი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

**● კულტურულ ღონისძიებებსაც აქტიურად ადევნებთ თვალს. შეაფასეთ ზაფხულის მნიშვნელოვანი დღეები?**

– ბორჯომი ყოველთვის დატვირთულია კულტურული ღონისძიებებით. ტურისტულად აქტიურ პერიოდში ეწყობა კულტურული, გასართობი და შემოქმედებითი საღამოები, რომელშიც მონაწილეობენ ადგილობრივი ანსამბლები და მოწვეული ჯგუფები.

კოსტავას სახელობის ბაღში ყოველდღიურადაა წარმოდგენილი ხელნაკეთი სუვერინების გამოფენა-გაყიდვა, აღსანიშნავია, რომ მათ შორის არიან ადგილობრივი მეწარმეები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი საერთაშორისო ფესტივალის, – კულტურათა სოლიდარობის, ფოლკლორული ცეკვის, ასევე ტრიოს შესრულებით გამართული კონცერტის აქტიური მხარდამჭერია.

ემოციების ფონზე ჩაიარა თამარ ლომიძის შემოქმედებითმა საღამომ წალვერში, ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა კონცერტმა, ქართული



ცეკვის საღამომ, ცოცხალი მუსიკის შესრულებამ.

„ღამის სერენადების" ფესტივალი ბორჯომში ლიანა ისაკაძის მუსიკის ფესტივალის ტრადიციის აღდგენას უკავშირდება.

**● გთხოვთ, მიულოცოთ ბორჯომელებს ქალაქის დღესასწაული:**

– თითოეულ ბორჯომელს მივულოცავ ამ შესანიშნავ დღეს. ვუსურვებ, ჩვენი ქალაქის წინსვლითა და მშვენიერებით ვიამაყოთ. ქალაქის გულშემატკივრებს კი შინაარსიან დასვენებას გთავაზობთ.

**იზა იანვარაშვილი**

# ბაკურიანს დიდი მომავალი აქვს

**ბორჯომ-ქალაქობის ზეიმი დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებულ თითოეულ ფირმას, საშუალო და მცირე საწარმოს, ინდმეწარმეებს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მშობლიური ბორჯომი ყველას საზრუნავია და ეს პასუხისმგებლობა განსაკუთრებით აქვს გათავისებული ბაკურიანის განვითარების სააგენტოს უფროსს ბატონ ეკატერინე ორჯონიკიძეს, რომელმაც თავის მოკლე ინტერვიუში მკაფიოდ გამოხატა მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა და სიყვარული მშობლიური მუნიციპალიტეტისადმი.**



**● ქალბატონო ეკა, ერთი წელია, რაც ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ჩაუდექით სათავეში. რის გაკეთება მოასწარით ამ მცირე პერიოდში?**

– უპირველესად გულწრფელად მინდა ბორჯომ-ქალაქობის დღესასწაული მივულოცო ბორჯომის ხეობის თითოეულ ადამიანს, ყველას, ვისაც გული შესტკივა მშობლიურ ქალაქზე და სოფელზე, ვინც ძალღონეს არ იშურებს ჩვენი ლამაზი მხარის კიდევ უფრო გალამაზებისათვის, ვინც უფრთხილდება ჩვენს უნიკალურ ბუნებას, ვინც ღირსეულად მასპინძლობს ჩვენს ხეობაში ჩამოსულ თითოეულ მოაგარაკეს, ტურისტს თუ სპორტსმენს, ვინც ცდილობს, კიდევ უფრო შორს გაიტანოს ჩვენი დიდი ტრადიციების ქალაქის აღიარებული სახელი.

ახლა, რაც შეეხება თქვენს კითხვას, რა გავაკეთოთ ერთი წლის მანძილზე.

ბევრი რამ, ფაქტიურად, ერთ წელიწადში შეიქმნა ბაკურიანის განვითარების სააგენტო, შემუშავდა ახალი ორგანიზაციის მართვის დებულება, დეტალურად განისაზღვრა სამსახურების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები.

შეიქმნა ადმინისტრაციული, ზედამხედველობის და არქიტექტურის, დასუფთავების, ტრანსპორტის სამსახურები, რომლებიც დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. დაისახა



კონკრეტული სამოქმედო გეგმა და გეგმაზომიერად გაიშალა ყოველდღიური საქმიანობა ბაკურიანის ინფრასტრუქტურული ობიექტების მოსაწესრიგებლად.

**● როგორც ცნობილია, სააგენტოსთვის ყველაზე დიდ გამოწვევად რჩებოდა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სნოუბორდსა, ფრისტაილსა და ფრისკში. როგორ შეაფასებდით ამ მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრის ჩატარებას?**

– ეს შეჯიბრი იყო ჩვენი სააგენტოს თითოეული წევრის დიდი გამოცდა.

ჩემპიონატის მზადების პერიოდში დიდი ორგანიზატორული და ინფრასტრუქტურული ღონისძიებები განხორციელდა ბაკურიანის იერსახის გასაახლებლად. განახლდა შენობების ფასადები, ღობეები, კეთილმოეწყო დიდველამდე მისასასვლელი ორ კილომეტრიანი გზა და გარე განათების სისტემა. მოწესრიგდა ოცდახუთიანების ტერიტორია და სხვა.

17 დღის მანძილზე ბაკურიანი მსოფლიოს სათხილამურო სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო. სათხილამურო ტრასებით, შეჯიბრების მაღალი ორგანიზაციით, მომსახურების დონით უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

ამჟამად ვემზადებით 2025 წლის თებერვალში ბაკურიანში მსოფლიო ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობისათვის.

შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით ბაკურიანში სანიტარული წესრიგის, ტრანსპორტის მოძრაობის სრულყოფის, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებების, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

**● როგორ შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა და უამრავი დამსვენებელი ბაკურიანის ფერისცვალებას?**

– ბაკურიანის საზოგადოებასთან გვქონდა და დღესაც გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა, თავიდან ჩვენდამი უნდობლობა იგრძნობოდა, მაგრამ მოსახლეობასთან სისტემატიურმა შეხვედრებმა და გულახდილმა საუბრებმა შედეგი



გამოიღო, უიმედო ადამიანი დავარწმუნეთ, ჩავაბით სპორტული დაბის საკეთილდღეო საქმიანობაში. მოსახლეობასთან დიალოგი კვლავ გრძელდება, მწამს, მიმდინარე წელს უფრო უკეთესი შედეგი გვექნება.

**● როგორ შეაფასებთ ბაკურიანში დღემდე გადაუჭრელ პრობლემებს?**

– პრობლემები ბაკურიანში საკმარისზე მეტია და მათი აღმოფხვრა მარტო სააგენტოს კოლექტივის შესაძლებლობებს აღემატება, ამიტომაც ვცდილობთ, ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების და უწყებების ხელმძღვანელობასთან სისტემატიურ შეხვედრებს და მათ ჩართულობას პრობლემების გადაწყვეტის საქმეში

**● მაინც რომელ პრობლემებს გამოყოფდით?**

– უპირველესი პრობლემაა ბაკურიანის გამწმენდი ნაგებობის დღემდე არ არსებობა, მთელმა რიგმა ინვესტორებმა, უწყებებმა მაღალსართულიანი სასტუმროები ისე ააშენეს გამწმენდ ნაგებობებზე და სასმელი წყლის დებეტის გაზრდაზე არ იფიქრეს.

პრობლემად რჩება უნებართვო მშენებლობები, ტრანსპორტის პარკინგის საკითხი, ინფრასტრუქტურული



პროექტების უხარისხო შესრულება, მისასვლელი გზების და ჩიხების კეთილმოწყობის დაჩქარება, კერძო პირუტყვის უმეთვალყურეო ხეტიალის აღმოფხვრა დაბის ქუჩებში და სხვა. ამ და სხვა პრობლემების დასაძლევად ვიბრძვით, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მეტია...

**● მომავლის პერსპექტივებზე რას იტყვით?**

– ვემზადებით ფესტივალისათვის, რომელიც 2025 წელს გაიმართება. დაწყებულია საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღის, დასასვენებელი პარკის, საციგურაო მოედნის მშენებლობები და სხვა.

ცენტრალურ, სამხარეო უწყებებისაგან და ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ვგრძნობთ აქტიურ საქმიან დახმარებას, რაც ჩვენთვის დიდი სტიმულია და მწამს, ბაკურიანი თავისი ინფრასტრუქტურით რამდენიმე წელიწადში მსოფლიოს მნიშვნელოვანი სამთო-სათხილამურო კურორტი იქნება.

ესაუბრა **ვალერიან ლომიძე**

# ძმობისა და სტუმარ-მასპინძლობის ზეიმი!

## აქ ყოველთვის სამოთხეა...



გადმოცემით რომ არ ვიცოდე, რომ სამოთხეში მარადიული გაზაფხულია, ბორჯომი სამოთხე მეგონებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ბორჯომის უპირატესობა სამოთხესთან სწორედ ისაა, რომ აქ გაზაფხულზეც, ზაფხულშიც, შემოდგომაზეც და ზამთარშიც ყოველთვის სამოთხეა.

მეორე უპირატესობა: ბორჯომი თბილისიდან გაცილებით უფრო ახლოსაა, ვიდრე სამოთხე, თუმცა უნდა ითქვას, აქაურ სასტუმროსა და სანატორიუმში მოხვედრა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სამოთხეში.

...და კიდევ ერთი უპირატესობა:

სამოთხისაგან განსხვავებით ბორჯომში ისეთი სამკურნალო წყაროა, რომელსაც არაერთი სამოთხისკენ მიმავალი კაცი მოუბრუნებია ამ ქვეყანად.

რას ვუსურვებ ბორჯომს და ბორჯომელებს?

ბორჯომს: — ადამიანის მზრუნველი ხელი და თვალი არ მოჰკლებოდეს, თორემ მარტო ბუნება ამდენი სილამაზის მოვლა-პატრონობას ვერ აუთავდება.

ბორჯომელებს: - ...უზომო მადლობას მოვახსენებ სტუმართმოყვარეობისათვის.

**ნოდარ დუმბაძე.**

## ბორჯომს!

მოვსულვარ - შენით დავმტკბარვარ,
წავსულვარ - ამტირებია,
შენთან დავრჩე და გეშველო,
ათასჯერ დამფიქრებია.
მიყვარხარ, ჩემს სიყვარულში
დარჩები გაუხუნარი,
ხარ უხვი მასპინძელი და...
ვარ შენი ხშირი სტუმარი.
შარშანწინ გნახე, შარშანაც,
წელს კი გაზრდილხარ რამდენად...
იხაროს შენმა გამჩენმა
და ბორჯომელთა მარჯვენამ,
ვინაც შეგამკო, გაგზარდა,
გაგხადა კურორტ-ქალაქად,
დასაკოცნელად აქცია
შენი მიწა და ალაგი.
მისუნთქავს შენი ჰაერი,
შემისვამს შენი წყაროცა...
შენს მაცოცხლებელ მზეს, ადგილს
ვინ არის, რომ არ დალოცავს.
ვინ არის მადლი არ გითხრას,
შენ, მუდამ მზე ულეველო,
ბალო ქალაქო, კურორტო
სიკეთე დაულეველო...

**შალვა კოპალიანი**

## ტაძარი კიდევ მეტად დამშვენდება



ბოლო წლების მანძილზე ბორჯომში უამრავი ეკლესია-მონასტერი აშენდა და დამშვენდა. ჩვენ ქალაქში სასულიერო ცხოვრებას მართლაც რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს და იმ უამრავ გაკეთებულ საქმეთაგან, რაც წლიდან წლამდე კეთდება, ადამიანთა გვერდში დგომითა და ძალისხმევით ნამდვილად აღნიშვნის ღირსია. ალბათ, შეამჩნევდით, რომ რუსთაველის ქუჩაზე: ,,მტრედის ხიდის“ სიახლოვეს არსებული ბორჯომის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის გარე ფასადის მოპირკეთება უკვე რამდენიმე თვეა აქტიურად მიმდინარეობს, სამუშაოებში აქტიურად ჩართულია თავად ტაძრის წინამძღვარიც. რა ეტაპზეა სამუშაოები და როდის იგეგმება დასრულება ამასთან დაკავშირებით მამა **ილარიონი (კოსი)** გვესაუბრება:

**● მამაო, როდის დაიწყო ტაძრის მოპირკეთების სამუშაოები?**

- წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი 2010 წელს გაიხსნა და იმ დრომდე, სანამ მისი გარე მოპირკეთების სამუშაოები დაიწყებოდა პირვანდელი სახით გახლდათ წარმოდგენილი. სამუშაოები მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით 2023 წლის 2 ივლისიდან დაიწყო.ამჟამად მიმდინარეობს ტაძრის გამშვენება ბოლნური ტუფით. ტაძრის გარე მოპირკეთების სამუშაოების ჩატარებაში უამრავი ადამიანი იღებს მონაწილეობას, ასევე აქტიურად არის ჩართული მთლიანად ტაძრის მრევლი და უამრავი ბორჯომელი, რომლებმაც საკუთარი ხარჯები გაიღეს, რათა ტაძარი გამშვენდეს და არსებობენ ადამიანები, რომელთაც არ სურთ რომ მათი ვინაობა გავასაჯაროვოთ და საიდუმლოდ დარჩეს მათი სიკეთე.

**● ამჟამად რა ეტაპზეა სამუშაოები?**

- სამუშაოების ნაწილი ნახევარზე მეტი დასრულებულია. მინდა გითხრათ, რომ ადგილზევე ხდება ოსტატების მიერ ქვის დამუშავება, გათლა, ჩუქურთმის ამოკვეთა, რაც ძალიან შრომატევადი საქმეა.

**● მამაო, ვინ ასრულებენ მოპირკეთების სამუშაოებს?**

- ტაძრის ქვით დამშვენებაზე თბილისიდან მოწვეული ოსტატები, ჯონი, გიორგი და ამირან შუკაკიძეები მუშაობენ. ოსტატებისთვის ბორჯომის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი რიგით 24-ე ტაძარია ქვეყნის მასშტაბით, რომლის მოპირკეთებასაც ისინი ახდენენ. ოსტატები ნამდვილად საკუთარი საქმის უბადლო მცოდნენი არიან, რომლებიც დაუღალავად შრომობენ, რათა დათქმულ დროზე მოხდეს სამუშაოების დასრულება.

**● საბოლოოდ როდის დასრულდება სამუშაოები?**

- სამუშაოების დასრულება სექტემბრის ბოლოსთვის იგეგმება, მთავარია, სხვა რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორები არ იყოს და უფლისა და წმინდა გიორგის შეწევნით ბორჯომს კიდევ ერთი დამშვენებული ტაძარი შეემატება.

**ნატო მელიქიძე**

## ბორჯომში შემოსვლისთანავე ვგრძნობ რომ სახლში ვარ

**თამარ მოსიძე** საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტია. მომავალი იურისტი აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის პროექტებში. დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, თამარი ცდილობს საკუთარი დროის გარკვეული ნაწილი თავის მშობლიურ ქალაქ ბორჯომში გაატაროს. რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ბორჯომელის სტატუსი, რაში ხედავს ის ბორჯომის როგორც საერთაშორისო დონის კურორტის სამომავლოდ უფრო მეტად განვითარების პერსპექტივებს ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ვთხოვე ესაუბრა:

**● თამარ პირველ რიგში მადლობა რომ ინტევიუზე დამთანხმდი. ახლა რაც შეეხება პირველ შეკითხვას, რას ნიშნავს შენთვის ბორჯომელის სტატუსი?**

- ჩემი ბორჯომი, მთებს შუა მოქცეული პატარა საგანძური, აუარებელი ბუნებრივი რესურსითა თუ მომაჯადოვებელი სილამაზით, რომელიც განსაკუთრებულ სიმყუდროვესა და იდუმალებას ქმნის. ამ ყველაფრის ფონზე გერქვას ბორჯომელი, ნამდვილად განუზომელი სიმდიდრეა, რაც წილად მერგო დაბადების წამიდან. თუმცა, ისიც უნდა გითხრათ, რომ ამ პატარა ქალაქის ღირსეულ ნაწილად ყოფნა საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს თითოეულ ბორჯომელს. მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან უნდა შეგვეძლოს მასზე ფიქრი და ზრუნვა. როდესაც მეკითხებიან, თუ სად არის ჩემი ფესვები, სახეზე კმაყოფილებისა და სიამაყის ღიმილი გადამირბენს ხოლმე და, სწორედ აქედან იწყება ჩემთვის განსაკუთრებულად სასიამოვნოდ სასაუბრო თემა ნებისმიერი დიალოგის დროს. ერთ ამბავს გავიხსენებ, პრეზიდენტის რეზიდენციაში ერთ-ერთი მნიშვნლოვანი შეხვედრის დროს, დაძაბულობის განსამუხტად, აღტაცებით დავიწყე საუბარი ბორჯომის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ, გასაოცარი იყო იმის დანახვა, თუ როგორ ჩაანაცვლა იქ მყოფი საზოგადოების საჯარო და ფორმალური დამოკიდებულება მეგობრულმა, თავისუფალმა გარემომ. განურჩევლად თანამდებობისა თუ სამსახურებრივი სტატუსისა, ერთმანეთს საოცარი სიამაყით ვუზიარებდით საკუთარ წარმომავლობას. ბორჯომში შემოსვლისთანავე ვგრძნობ, რომ სახლში ვარ, სიმშვიდე ისადგურებს ჩემს გულსა და გონებაში. რაც წლები მემატება, ეს სიყვარული ჩემი ქალაქისადმი თანდათან მიმძაფრდება.

**● რა არის ის, რაც ბორჯომისაგან შორს გენატრება?**

- დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, არ მაქვს დრო ხშირად მოვინახულო ჩემი ბორჯომი, ამის გამო საკმაოდ დიდ დანაკლისს განვიცდი მთელი წლის განმავლობაში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტად ის ადამიანური ურთიერთობები მენატრება, რითიც ბორჯომის მოსახლეობა გამოირჩევა. შესაძლოა ერთი შეხედვით არ იყოს ისეთი შესამჩნევი, თუმცა ფაქტი ერთია, სულ სხვანაირი დამოკიდებულებები გვაქვს ბორჯომელებს ერთმანეთთან, უცხო ადამიანებთან და საერთოდ გარე სამყაროსთან. არ ვუშინდებით გამოვხატოთ სითბო, სიყვარული, პატივისცემა, სიხარული თუ მწუხარება გულწრფელად, არ ვითრგუნავთ ემოციებს არაფრის ფასად. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ეს ყოველივე თავისუფალი სულის მანიშნებელია. ასევე უზომოდ მენატრება ბორჯომის მინერალური წყალი, მიწა და ჰაერი, ვინაიდან ამ სამ საწყისზე აღვიზარდე, ეს უხილავი კავშირი კი სიცოცხლის ბოლომდე გამყვება.



**● ადგილი რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს ბორჯომში?**

- ბორჯომში განსაკუთრებულად საყვარელი ადგილი ჩემთვის. მწვანე მონასტერია, რომელსაც ჩამოსვლისთანავე ვსტუმრობ, ეს ადგილი სულიერად მამშვიდებს, საოცარი ენერგიით მავსებს და თითქოს გონებას მითავისუფლებს უარყოფითი და უსარგებლო ფიქრებისგან. თამამად ვიტყვი, რომ ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი არა მხოლოდ ბორჯომის ტერიტორიაზე, არამედ სრულიად დედამიწაზე სწორედ მწვანე მონასტერია.

**● რამდენად შეცვლილი გხვდება ბორჯომი წლიდან-წლამდე?**

- აქ ყოფნისას ხშირად ვსტუმრობ ბორჯომის პარკს. საოცრად ლამაზია განახლებული კოსტავას ბაღი, საკმაოდ ბევრი გასართობია ყველა ასაკის წარმომადგენლისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის. საზაფხულო პროგრამის მეტად სასიამოვნო ნაწილია ღია ცის ქვეშ ჩატარებული მუსიკალური საღამოები, რომლითაც ყოველდღიურად ანებივრებენ როგორც ადგილობრივ, ასევე ჩამოსულ სტუმრებს. ნამდვილად შესამჩნევია ის ფაქტი, რომ წლიდან წლამდე ბევრი ცვლილება მხვდება ბორჯომში, უფრო მეტად ვითარდება ჩვენი ქალაქი. დამეთანხმებით, რომ აუარებელი რესურსები გვაქვს, რასაც ჯერ კიდევ მინიმალურ დონეზე ვიყენებთ. თუმცა მწამს, ერთიანი ძალებით, ჩვენი ბორჯომის უზომო სიყვარულითა და დიდი შემართებით შევძლებთ ის ზღაპრულ ქალაქად ვაქციოთ.

**● შენი აზრით, იმ ადგილების გარდა, რაც უკვე ცნობილია და რომლის ნახვაც თავისთავად შესაძლებელია, რომელი ადგილია ბორჯომში ისეთი, რომლის ტურისტული პოტენციალიც ბოლომდე არ არის ათვისებული და სამომავლო შესაძლებელია, რომ რაიონისათვის საკმაოდ მომგებიან ბიზნესად გადაიქცეს?**

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბორჯომს აუარებელი ბუნებრივი რესურსი გააჩნია, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ. ძალიან მწირია იმ ათვისებული ადგილების რაოდენობა, რაც ბორჯომის ღირსშესანიშნაობათა სიაშია აღნიშნული. რეალურად ბევრად მეტია სანახავი ამ ერთი ციდა ქალაქის სტუმრობისას, ვიდრე რომელიმე რიგითი გიდი უამბობს აქ ჩამოსულ ტურისტებს. ძალიან შორს რომ არ წავიდე, შემიძლია მაგალითად მოვიყვანო ჩემი დედულეთი, სოფელი ტაძრისი და ასევე სოფელი საკირე. ეს სოფლები იმდენად უნიკალურია, საკუთარი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, ბუნებითა და კიდევ უამრავი ელემენტით, ბოლომდე აღწერაც კი შეუძლებლად მეჩვენება. ხშირად ტრაბახობენ ქართველები, მსოფლიოს ასპარეზზე, ღვინისა და თაფლის სამშობლოდან ვართ. დიახ, ეს ნამდვილად ასეა, თუმცა რატომ არავინ ულრმავდება ამ საკითხს და რატომ იქვე არ დასძენენ, რომ ეს მას შემდეგაც დამტკიცდა, რაც არქეოლოგებმა 2003 წელს საქართველოში, კერძოდ, ბორჯომის რაიონის სოფელ საკირესთან, კოდიანის მთის ძირში, ყორღანი აღმოაჩინეს, რომელიც თარიღდება ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით, ანუ დაახლოებით 5500 წლის არის. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა 2 კერამიკული ჭურჭელი, სადაც თაფლი იყო ჩასხმული. ეს თაფლი დაახლოებით 20 საუკუნით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე აღმოჩენილი უძველესი თაფლი, რომელიც ეგვიპტეში, ტუტანხამონის სამარხში იყო ნაპოვნი.

ჩემი მოკრძალებული აზრით, სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის ერთობლივი ძალისხმევით მუზეუმი, რომელსაც ეროვნული დატვირთვა ექნება. ეს ყოველივე სასარგებლო იქნება, როგორც ბორჯომის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ თვით ქვეყნისთვისაც. აქვე უნდა ვახსენო სოფელ ტაძრისში არსებული წმ. გიორგი მთაწმინდელის მამათა მონასტერი, რომელიც X საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ვითარცა იქმნა იგი შვიდის წლის, ალთქუმა იგი აღასრულეს მშობელთა მისთა და მასვე ზემოხსენებულსა მონასტერსა ტაძრისს დისა თვისისა თანა ღმრთისა შეწირეს, და ჰმადლობდეს ღმერთსა მომცემელსა კეთილისა მის ნაყოფისასა“.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან კი, ნუთუ იმსახურებს ეს ყველაფერი ჩვენი მხრიდან მივიწყებას?! ნუთუ ჩვენი წინაპრები საკუთარი სისხლის ფასად ტყუილად იცავდნენ ამ პატარ-პატარა საგანძურებს?! ვალდებულნიც კი ვართ ბოლომდე ავითვისოთ, წარმოვაჩინოთ და ვიამაყოთ ჩვენი სიმდიდრეებით.

**● უდიდესი მადლობა მეტად საინტრესო საუბრისათვის.**

- პირიქით, მადლობა თქვენ დაინტერესებისათვის და აქვე მინდა, რომ ჩემ უძვირფასეს ბორჯომელებს ბორჯომქალაქობის დღესასწაული მივულოცოთ. უფლის წყალობასა და სიკეთეს ვუსურვებ თითოეულ ბორჯომელს.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

# დავუბრუნოთ მშობლიურ ქალაქს ბალნეოკურორტის სახელი და ფუნქცია

## ნინის უნდა იცნობდეთ!

**საინტერესო ადამიანები ყოველთვის არსებობენ, მაგრამ რატომღაც საზოგადოება არც ისე კარგად ვახასიათებთ ახალგაზრდების ცხოვრებისეულ გამჭრიახობას, მონდომებას. ხშირად გამიგია ძველი თაობისგან, რომ ახალგაზრდებს სიცოცხლეც კი ეზარებათ, არა აქვთ ხალისი და ამ ცხოვრების მარიფათი. ახლა სიღრმეებში არ შევალ, ყველაფერს თავისი საფუძველი და გარემო პირობები განაპირობებს. უბრალოდ, გვინდა, გაგაცნოთ ერთი საინტერესო ქალბატონი, რომელმაც ცემის მდებარეობაც კი არ იცოდა, სად იყო, მაგრამ სიყვარული ისე მოფრინდა, რომ თეთრიწყაროელმა ნინია ჩოქურმა ცემში როსტომ გოგოლაძესთან შექმნა ოჯახი და ახლა ორი ანცი ვაჟკაცი იზრდება ამ თბილ, ახალგაზრდა ოჯახში. დანახვისთანავე მივხვდი, რომ მის იქით გზა არ მქონდაო - ღიმილით იხსენებს ნინია ბორჯომში, მეგობრის დაბადების დღეზე გაცნობილ მომავალ მეუღლესთან შეხვედრას. ერთ მშვენიერ დღესაც სამოქალაქო საგნის მასწავლებელი დაგვჭირდა წაღვერის საჯარო სკოლაში შემცვლელად და ასე გავიცანით ეს შრომისმოყვარე ქალბატონი, თუმცა მთელი სასკოლო საზოგადოებას იმ ერთ წელს უსაზღვრო სიყვარული და ადამიანური სითბო დაგვიტოვა.**

**რატომ დავფიქრდი მასზე, როგორც რესპოდენტზე?**

ახლა არ მუშაობს, თუმცა აქტიური მოქალაქეა და გულშემატკივარია. სოფლის დიდი სახლის მიმდებარედ ფიჭვების ტყე გააშენა, სულ ნორჩი ნერგებით კიდევ უფრო დაამშვენა შემოგარენი. არადა, ადგილობრივები ეჭვით უყურებდნენ ამ საქმეს - აქ რა გაიხარებსო... ზრუნვით და სწორი მოვლით ყველაფერი გამოვა! გირჩიც მოაგროვეს, მურაბაც მოხარშეს. ეგ კიდევ არაფერი, ბავშვებისთვის სუფთა ჰაერის მნიშვნელობა მას არ ესწავლება. დიდი ხანია უნდა არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა, რითაც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას, თუმცა ეს მომავლის გეგმებია. ბავშვებისთვის ნატურალური პროდუქტით გამოკვებას სეროზულად უყურებს: ასეთ ბუნებრივ, კარგ პირობებში ვარ, და რატომ არ უნდა მქონდეს საკუთარი რძე, ყველი, კარაქი და დაიწყო... ყველაფერს სულ თავისი შემართებითა და ხელით აკეთებს. ინტერვიუს ჩაწერად სულ კარაქს დღვებაში ჩაიარა. ახლა არ იკითხავთ რქაწითელის და დირბულას ყურძენი დაწურა და გემრიელი ღვინოც დააყენეს ცოლ-ქმარმა, ჩამოასხეს ბოთლებში და დაბეჭდეს. ეტიკეტის დამზადებასაც თავად აპირებს, სახელიც მოფიქრებული აქვს. ალბათ, მკითხველს გაეღიმება და თან გაუკვირდება, რომ ასეთი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, ერთი შეხედვით ყველასთვის სასურველ საყოფაცხოვრებო საქმეს ჩვეული ხალისით რომ შესდგომია, აქ განა რა არის გასაკვირი? და თქვენ, არ იცით, როგორი სიხარულით ყვება ყოველივეს. მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით მხარეზე ალბათ ცალკე უნდა დაიწეროს. შექმნა ცემში საინიციატივო ჯგუფი, სადაც ყოველდღიურ პრობლემებზე მსჯელობენ და ცდილობენ მათ მოგვარებას საკუთარი ძალებით. ნინია რომ მოუძახებს: აბა, გოგოებო! ერთი გენერალური დალაგება მოვაწყოთ ქუჩებისთ და იწყება ნარჩენების მოგროვება, საკმაოდ დიდი ტერიტორიების დასუფთავება - ეს უკვე კარგი მაგალითია სხვებისთვის. ამ აქტიურობის გამო განა შეაქებენ? ერთხელ ისიც კი უთხრა წესითა და კანონით სოფელზე პასუხისმგებლობას აღებულმა პირმა: ძალიან ბევრი ნუ მიიწდომეთ, ნუ შეგაწუხებთ. მაგრამ მსგავსი პასუხები ნინიასთვის მხოლოდ ღიმილისმომგვრელია, ის მაინც საკუთარი კეთილი ნებით ცდილობს მოაწესრიგოს გარემო, დაწეროს საჭირო პროექტები და წარუდგინოს მუნიციპალურ დონეზე გამოცხადებულ ინფრასტრუქტურულ საგრანტო კონკურსებს. კვირაში ერთხელ მეუღლეს მიყავს ორივე მცირეწლოვანი ონავარი ბიჭი და ტყის პირას აკრეფილი ნაგვით სავსე ტომრები ერთმანეთს ემატება. მათ ბავშვობიდანვე უნდა იცოდნენ გარემოს დაბინძურება თუ როგორი მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის! უფროსიდან იცნობენ ბუნებას, ხშირად სოკოზე და ტყის ყოლოზე სირბილი უდიდესი სიამოვნებაა გიორგი და იოანესთვის. ნინის ცხოვრების კრედოა: მოძრაობა და მოძრაობა! უქმად ყოფნა დანაშაულად მიაჩნია! ხშირად საუბრობს საფრთხეებზეც ლიად: ეს გზა თუშეთის ან ხევსურეთის არ გეგონოთ, ბაკურიანში ასასვლელი გზის მონაკვეთია, მაგრამ დამიჯერეთ, არანაკლებ საშიში! ვიდეოში კარგად ჩანს ფერდობებზე გადმოკიდებული უზარმაზარი ლოდები, რომლებიც კაცმა არ იცის, როდის მოწყდება ადგილიდან. კლდეები იშლება და ნაშალი გზაზე იყრება, სადაც ყოველდღიურად ასობით მანქანა გადაადგილდება და სამწუხაროდ, ეს ნახევარმეტრიანი ჯებირი ვერ დაიცავს ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ჩამოშლილი ნაშალის გაწმენდა საქმეს რომ არ შველის, ალბათ თქვენც კარგად მოგეხსენებათ?! უკვე რამდენი შემთხვევაა ამ გზაზე ლოდების ჩამოცვენის გამო ადამიანები და მანქანები ზიანდებიან (პირადი გამოცდილებაც მაქვს). სანამ ვინმეს სიცოცხლეს შეიწირავს, იქნებ მანამდე მოაგვარონ ეს პრობლემა, სანამ ურემი გადაბრუნდება, გზას მანამდე უნდა მიხედოო! - გვიუზნება ის და ხედავს ყველა პრობლემას, რომელსაც უნდა მყისიერი ყურადღება. ნინის თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია ლიბანში, განსაკუთრებული არქიტექტურით გამორჩეული, აწ უკვე დანგრეული ყოფილი სანატორიუმი, რომელიც გამვლელს გულს უკლავს. ხომ შეიძლება მას ვინმემ აღუდგინოს ძველი დიდება და ფუნქცია? მოგზაურობა ნინის ჰობია, თუმცა პროფესიით ისტორიკოსს ინტერესი ყველაფრის მიმართ აქვს. ხელმარჯვე ოსტატობაც ისე შეუთავსებია, გეგონება, ამ საქმეს არ სჭირდებოდეს დრო, ნებისყოფა, მარიფათი. ნინის აწყობილი ჭაღებით გაფორმებული ბარ-ჩრები. სოციალურ ქსელში ის ხშირად აქვეყნებს საკუთარ ნამუშევრებს: ჭაღებს, ფერად სანათებს, კედლის დეკორებს და იძახის: როცა ხელები მექავება, ასეთი საქმეები მიზიდავსო. მკითხველი იმითაც დაინტერესდება, რატომ უნდა ერქვას ასეთ ადამიანს ოფიციალურად უმუშევარი? იმედით უყურებს მომავალს და ჰგონია, რომ მეუღლესთან ერთად „მიებს გადადგამს", ერთობითა და სიყვარულით ცხოვრების მოუსვენრობაში ჩაძირული მალე იპოვის სტაბილურ, ღირსეულ სამსახურს! გვინდოდა გაგვეცნო გაზეთ „ბორჯომის" მკითხველებს ეს ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც თავისი მიზანდასახულობითა და შინაგანი ძალით ნორვეგიელ კრისტინ ჰარილას მაგონებს, რომელიც ერთადერთი ქალია, ვინც ჰიმალაიზე მწვერვალები დაიპყრო. მჯერა, შენც დაიპყრობ მეტს, ნინი!



**მონიკა ქანტურია**

### პოეტური წერდა

როცა გადმიქცე
ფერფლად
და ნაცრად,
მხოლოდ ერთ
რამეს შეგთხოვთ,
აქ დამიმარხოთ,
რომ ცრემლის
ნაცვლად
ჩანჩქერის ბროლი
გედ დამედინოს.

### მეორე საიათნოვა
(პოეტ იზო სარქისიანს)



თუ ქართულად ლაპარაკობს
სომეხი თუ ებრაელი,
გიხარია და ამაყობ,
დაფასებს შენი ერი.
მაგრამ თუ კი ლექსებს უწერს
და უმღერის საქართველოს,
ხოტბას ასხამს და აღმერთებს
მის მშვენიერ მთას და მდელოს,
მაშინ, მართლაც არ იქნება
არ მოგადგეს თვალზე ცრემლი,
გულში არ თქვა, ამისთანა
მოგვიმადლე ღმერთო ბევრი.
აი სწორედ ასეთია
მეგობარი იზაბელა,
მან თავისი პოეზიით
საქართველო ასახელა.
დავულოცოთ მას მარჯვენა
და შევუქოთ წრფელი გული,
იმის ლექსებს ასხივოსნებს
სიმართლე და სიყვარული -
სიმტკიცე და ერთგულება
სიკეთე და ღმერთის რწმენა
და ის, რომ მას გაუხდია
მშობლიურად ჩვენი ენა.
მან შეამკო საქართველო,
მოეფერა, ესათნოვა,
უფლისაგან მოვლენილი
ეს მეორე საიათნოვა.
გამარჯვებით ევლოს მუდამ,
სევდა, დარდი არ ენახოს
და მისი ლექსების წიგნი
სამზეოზე დავვენახოს.

**ნარგიზი გელაშვილი.**

## გილოცავთ ბორჯომ-ქალაქობას!



**ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი, თითქმის საუკუნოვანი გაზეთის ფურცლებიდან ბორჯომელებს მივულოცავ ბორჯომქალაქობას! ვუსურვებ აყვავებას, უფრო მეტად დამშვენებას და საკუთარ წიაღში ბევრი ღირსეული მამულიშვილის აღზრდას. ჩემთვის ბორჯომი მშობლიური, ყველაზე სათუთი და საყვარელი ქალაქია. ყოველთვის ვიამაყებ, რომ მისი ნაწილი ვიყავი და ვარ სიცოცხლის ბოლომდე მის მკვიდრად და მოტრფიალედ დავრჩები. ბორჯომელებს ჩემი საკუთარი ლექსით მოგილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს!**

### ბორჯომს!

**გაზაფხული, როგორც ჯადო, მოსდებია ბორჯომს,
ნაზი სიო მონუსხული ეპარება ფოთოლს,
აქეთ მთები, იქით მთები მშფოთვარებენ როგორ...
„ბორჯომულა" აურზაურს უფრო უხმობს კოცონს.
დაბოლმილი პეტრეს ციხე ეშმაკებსაც აფრთხობს,
დავიწყების მიცემისთვის, ჯავრს აკვდება, აპობს.
სიმამაცის ყრამული ძვალ-რბილს თუ არ ათბობს,
საუკუნის ნატერფალი მოსაგონრად კმარობს.
რას მაქნისობს ეს მთა-ველი თუ დარჩები უტყვი:
„პოეტებო, გულსაც უნდა ბერტყვა როგორც ხურჯინს!"
სხვა ზეცაა, სხვა ხმაური თუ დაუგდე ყური
ილუზიის პირმშო თუ ხარ, ათრთოლდები მუზით.
მაგრამ სიტყვას სხვა ძალა აქვს, თუ განვდავ ბორჯომს,
ყელში სიტყვა აღუდგება, აგამღერებს ბოლოს!
დათვლილია ცრემლის ფასი სიამაყის ზომით,
გამობარია ბორჯომელთა სიყვარულის გრძნობით.
აქ წმინდა და ანკარაა მთის ცქრიალა წყაროც,
გუჯარეულას ხეობიდან ეცეკვება ტატნობს,
ნაძვის კედეა მარადიულ არსებობით ამცნობს:
გაუფრთხილდი სამკვიდროს და არ დატოვო მარტო!
სილამაზე ბუნებრივი კონტურებით მოწმობს:
დღე და ღამე ანგელოზი დასტრიალებს ბორჯომს!
ეს ქაოსიც ელფერს ჰმატებს აკვლევებს როგორ...
თეთრი კაბა გაუხდება საპატარძლო ბორჯომს!**

**ნათია ჯიქურაშვილი,** პოეტი

## თორნიკე თორელის პოზიცია



**მხატვარ-დიზაინერი თორნიკე თორელის** კომენტარი შემთხვევით წავიკითხე, რაც ერთგვარი გამოხმაურება გახლდათ ბორჯომის საკურორტო ქალაქის განვითარებასა და მშენებლობებთან დაკავშირებით.

- არ შეიძლება, ქალაქს, რომლის კლიმატს, ეკოსისტემას, ბუნებას მის მთაგორიან და ულამაზეს გარემოს ანალოგი არ ყავს ამ ქალაქში შუაგულ ტყეში ვაშენებდეთ ისეთივე შენობას, როგორიც რუსთავში, ხაშურში და ქობულეთში დგას.

სავსეთ უხდება კოტეჯები, ბათუმს მინებიან ცადამბჯენები, ძველ თბილისს აგურის ფერადი აივნები, სიღნაღს აგურის კოტეჯები, ხოლო ბორჯომს მაქსიმალურად ბუნებასთან ასოცირებული კოტეჯი, ბინა. იმ ბინაში და იმ ეზოში თუ ვერ გაარჩიე შენ ბორჯომში ხარ თუ ოზურგეთში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს სად, რას აშენებ.

განვითარება და ინფრასტრუქტურა სჭირდება ქალაქს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მთავარია რაიმე აშენდესო ვიძახოთ. გეგმებმა და კრეატიული არქიტექტურული ჯგუფი სჭირდება ჩვენს ქალაქს, რომ სახლები წარმოადგენდნენ, ისეთი უნდა იყოს როგორიც არსად გარდა ბორჯომისა.

ფოტოს, რომ დაინახავენ უნდა იცოდნენ, ეს ბორჯომია, და არა წყალტუბო. მხატვარ-დიზაინერი ვარ და ეს ჩემი ხედვაა. არავითარი პირადული.

მართლა არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მეტი თანამედროვე საცხოვრისი ქალაქს შესაბამისი დიზაინით.

მრავალსართულიანი ბინების მშენებლობა კი ძველი (კომუნისტური) მიდგომის მსგავსია, ისევე როგორც თუქსიმეტსართულიანი სიმახინჯეები, რომ გადმოგვყურებს ნაძვით და ფიჭვით სავსე ქალაქში, - წერს თორელი და გულისტკივილს საჯაროდ გამოხატავს.

შეუძლებელია არ დაეთანხმო, აღნიშნულ პოზიციას, საერთოდ მეტი სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა ვაშენოთ დავამშვენოთ ბორჯომი, მისი შემოგარენი.

„მიტოვებულმა" შენობებმა, ახლად დაწყებულმა მშენებლობებმა არ უნდა გადაფაროს ქალაქის ინფრასტრუქტურისათვის დახარჯული ფინანსები, დრო და შრომა, რომლისთვისაც სწორედ, რომ ყველაზე მეტი თანხაა გამოყოფილი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

**მოამზადა იზა იანვარაშვილმა**

# ერთმანეთს შევეჭიბროთ ბორჯომის სიყვარულში!

## ბორჯომ - ქალაქობას



დღეს ცისარტყელას ფერები მეფობს,
ყველა ვზეიმობთ, დიდი, პატარა—
სიხალისე და სიკეთე მეტობს,
მერცხლებმაც შეკრეს ცაში კამარა...
ბორჯომობაა, გილოცავთ ყველას
მწამს, სიყვარული უფრო მყარია,
ვიღაცა უკრავს შოპენს და მოცარტს,
შორიდან ისმის უცხო არია...
მე ვეფერები ჩემს ლამაზ ქალაქს,
გულით მხურვალით, დილაადრიან,
აშორე ბოროტს, ფლიდსა და მტარვალ
შენ გევედრები დედა მარიამ!...

უდიდესი სიყვარულით
დალი ბანცაძე

## ბორჯომზე ამბობდნენ

სალამი ბორჯომის თვალწარმტაც ხეობას, მის ტურფა ბუნებას და მოსახლეობას.
(გალაკტიონი).

ბორჯომი მასპინძელი,
გულკეთილი ჩვეულების,
ჩამობრძანდით, გელით,
გაიკაჟეთ სხეულები.
რეზო გელაშვილი

თუ საქართველო ტაძარია, გაუბზარავი, ბორჯომი არის ძმებო კარი ალსავალისა.
ნოდარ გრიგალაშვილი

„... ბორჯომი ჩემია: მე გამიწევია მანდა ლაზათები მაშინ, როდესაც სახლების მაგიერ გვედგა კარვები: მუზიკის ნაცვლად ჰგალობდნენ ბულბულები“, სადაც არ იყო გზა და ჩვენც ვიმალებოდით ქალაკებში, ბუჩქებში... ეჰ, ქეიფი იყო და წავიდა ისე, ვითარცა ყოველივე ამა სოფელში“.
გრიგოლ ორბელიანი.

მოგონებები გარდასულ დღეთა...

# ღირსეულად განვლილი წუთისოფელი

**ქართველთათვის უკვდავ ენაში არის მეტად შთამბეჭდავი სიტყვა - „ქუდბედიანი“. ამ სიტყვას იმეტებენ იმ ადამიანების მიმართ, ვინც ღირსებით სავსემ იცხოვრა ამ ქვეყანაზე, პატიოსანი და კეთილსინდისიერი ცხოვრებით დამსახურებული სახელი დატოვა, პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის, მშობლიური ქალაქის, მეგობრების, საკუთარი ოჯახისა და შთამომავლობის წინაშე. ასეთ ადამიანებს დავიწყება არ უწერიათ.**

**ასეთი ქუდბედიანი პიროვნება გახლდათ ბატონი ფრანც მანველიშვილი, რომელზეც სიცოცხლეში არაერთი თბილი სიტყვა თქმულა მის შესახებ.**

**14 სექტემბერს ბატონ ფრანსცს დაბადებიდან 100 წელი უსრულდება**



ძალიან ძნელია, წლების შემდეგ ბატონ ფრანცის განვლილი ცხოვრების შესახებ დაწვრილებით ვისაუბრო და ყველა მისი გაკეთებული საქმიანობა გავიხსენო, მაგრამ რაც გამახსენდა და ჩემს ძველ ჩანაწერებში ამოვკრიფე, ისიც საკმარისი იქნება ამ მართლაც ვალმოხდილი და ღირსებით სავსე პიროვნების შესახებ რომ მოგითხროთ.

ახალციხეში რაბათის მუშათა უბანში გიგა მანველიშვილის და ნინა ნასყიდაშვილის ოჯახში ხუთი დედმამიშვილიდან პირველი შვილი ფრანცი იყო. ბავშვობა ახალციხეში გაატარა. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ბატონ ფრანცს ბორჯომის საზოგადოება კარგად იცნობდა. იყო წარმატებული პედაგოგი, ლექტორი, რეჟისორი, მსახიობი, პოეტი, მხატვარი, იცოდა ექვსი ენა, იუმორით ალსავსე„ მაღალი კულტურისა და მჭერმეტყველების ეტალონი. იმდროინდელ ბორჯომის საზოგადოებაში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით. უყვარდა ოპერა, თეატრი, კინო და საერთოდ უყვარდა სიცოცხლე და ადამიანები. მასთან საუბარი ერთ რამედ ღირდა, თავაზიანი და უკომპლიქტო. ფართოდ, ღრმად ერუდირებულ პიროვნებას ყველა საკითხზე შეეძლო დისპუტში თუ კერძო საუბარში მონაწილეობის მიღება. გახლდათ უდავოდ ნიჭიერი და განათლებული პიროვნება.

დაამთავრა დვირის საშუალო სკოლა, უგამოცდოდ ჩაირიცხა გორის პედინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც ვერ დაამთავრა სამამულო ომის დაწყების გამო. იბრძოდა კავკასიის დაცვისათვის, 1943 წელს დაიჭრა და ინვალიდი დაბრუნდა ბორჯომში.

დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. მომდევნო წლებში სხვადასხვა სკოლებში ასწავლიდა ისტორიას და სამართალს. ერთხანს გუჯარეთის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად, იყო ლიკანის სკოლის დირექტორი, ბორჯომის №2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, რკინიგზის №6 სკოლის დირექტორი, სიცოცხლის ბოლომდე №1 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას ედგა სათავეში.

ბატონი ფრანცი 35 წლის მანძილზე შრომით კოლექტივებში კითხულობდა ლექციებს ზნეობის, კულტურის, აღზრდის და საერთაშორისო საკითხებზე, აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან, ადგილობრივ და ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა საინტერესო წერილებს.

ოცი წელი იმუშავა პარტიის ბორჯომის რაიკომში პირველი მდივნის თანაშემწედ, დამთავრებული ქონდა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლა, იყო შუშის ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე, ლექტორ-კონსულტანტი, ერთხანს ბორჯომის სახელმწიფო თეატრში მსახიობი, რეჟისორის თანაშემწედ, ხოლო 1946-1950 წლებში რაიონული გაზეთის რედაქციაში იმუშავა. რედაქციის არქივში შემონახულია მისი წერილები, ახალგაზრდების აღზრდა-განათლების, ხელოვნების, კულტურის საკითხებზე აქვეყნებდა ლექსებს, ჩანახატებს, ნარკვევებს, ნოველებს...

უმწიკვლო შრომითი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო არაერთი სახელმწიფო ჯილდოებით და საპატიო დიპლომებით, მინიჭებული ქონდა ლაურეატის წოდებები.

ბატონი ფრანცი 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, მან შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრებით იცხოვრა. დღეს მისი კაცურკაცობის, ღირსეული ბორჯომელობის სახელს თვალისჩინივით უფრთხილდებიან მისი მეუღლე, ქალბატონი ნათელა ცხომელიძე, შვილები გიორგი, თამარი, ვაჟა, შვილიშვილები ცოცხლად შემორჩენილი მისი მეგობრები და ნაცნობები. მისი ხსოვნა დაუვიწყარია.

ვაგლახ, ბატონი ფრანცი ვერ მოეწრო თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობას. მისი შეგნების და ცოდნის ადამიანები დღესაც ესაჭიროება ჩვენს სამშობლოს.

ვალერიან დავითაძე

ვიცოდეთ ჩვენი ქალაქის ისტორია

# როდის დაერქვა ნუას „ბორჯომი“

**ბორჯომის** ხეობა, რომელიც მესხეთისა და ქართლის საზღვარზე მდებარეობს, XIV საუკუნის მეორე ნახევარში, ყველაზე მეტად გაპარტახდა. თურქებმა მესხების გამაჰმადიანება სისხლით და მახვილით დაიწყეს, სწორედ ამ პერიოდში დაფიქსირდა მოსახლეობის მასიური მიგრაცია, ოჯახები გაიხიზნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, იქ სადაც მეტი სიმშვიდე იყო, ახალ დასახლებულ ტერიტორიებს ხიზნები მიტოვებული მშობლიური სოფლების სახელებს არქმევდნენ, ასე წარმოიშვა საქართველოს სხვადასხვა მხარეში ახალციხე, ახალქალაქი, ჯავახიანთ კარი, ვახანი, ვარძია და სხვა. მათ მამაპაპათა კერებიდან მოჰქონდათ საეკლესიო სამკაულები, ხატები, ხელნაწერები, ამ განძის დიდი ნაწილი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. ასეთებია ზარზმის, ხახულის, აწყურის ხატები, სადგერის ჯვარი და სხვა.

როგორც მესხეთის ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი მცოდნე აწ გარდაცვლილი ისტორიკოსი ნიკოლოზ ნათენაძე წერდა: — დღევანდელ ბორჯომს უკავია ექვსი ნასოფლარის ადგილი. ნასოფლარი ლიკანი, ნასოფლარი ჭალა მდებარეობდა რომანოვების ყოფილი სასახლის მიდამოებში, ნუა - მტკვრის მარცხენა ნაპირი ავტოსადგურიდან სილამაზის ხიდამდე და ნუას მეორე ნაწილი მტკვრის მარჯვენა მხარეს ყოფილი სასტუმრო „ბორჯომისა“ და ნაეკლესიარის ტერიტორია, ეშმაკთუბანი - სანატორიუმ „მთის ხეობიდან“ ახალშენამდე, ფაფა - დღევანდელი ახალი უბანი, ქვედა თორი - ჩარხისწყლის მიდამოებში.

1595 წელს თურქებმა მთლიანად აღწერეს დაპყრობილი ტერიტორია. ხეობის 60 სოფლიდან მხოლოდ 13 სეფელში იყო მოსახლეობა.

მესხეთში, ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 12 კმ-ზე მდებარეობს ნასოფლარი, რომელსაც 1595 წელს შედგენილ დოკუმენტში ბორჯომი ერქვა. ამ ადგილს ვახუშტი „ბორჯომის ხევს“ უწოდებდა.

როგორც გადმოცემით და ჩანაწერებით ირკვევა „ბორჯომის ხევში“ 1595 წელს 5 ოჯახი ცხოვრობდა - ძმები საბია და იოსებ ხუციშვილები, ელისა და ტატო ხარიბას-ძენი (ორ-ორ ოჯახად) და მეხუთეს ვინაობა ხელნაწერში არ იკითხება. როგორც ჩანს ხუციშვილებს და ხარებას-ძეთ არ მოუსურვებიათ გამაჰმადიანობა, აყრილან და ნუაში დასახლებულან. მომდევნო წლებში ლეკიანობის შიშიანობით ნუა დაუტოვიათ და ხუციშვილების სამი ძმა დვირში გადასახლებულა, ხოლო ხარებაძეები - იმერეთში წასულან.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად988 წელს ბაგრატ მესამესა და სულთნ გურგენ მეფეს შორის მომხდარა ომი, რომელიც გამართულა „გადათხრილსა თავსა შავშეთსა“ ურაველის ხეობაში არსებული ბორჯომიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. ის სანგარი ანუ ხანდაკი, რომელშიც ჩაცვივდნენ გურგენის მეომრები, დღესაც ეტყობა.

„ბორჯუმ ოლსუნ“-ს (ვალად მედოს“ მიაძახა დამარცხებულმა სულთნმა გამარჯვებულს და უკან გაიქცა.

სახელწოდება „ბორჯომი“ ისტორიულ წყაროებში პირველად 1595 წელს ოსმალების შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოიხსენიება ახალციხის მახლობლად ჭაჭარაქის რაიონში, სოფელ ანდრიაწმინდასთან.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში წერს - **ახალციხის ურიებთან ერთვის „ბორჯომ-ხევი“, მაგრამ ოსმალები თავიანთ შედგენილ დოკუმენტში „ბორჯომს“ არ ასახელებენ.**

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მტკვრის ხეობაში სახელი „ბორჯომი“ XVI-XVIII საუკუნეში არ არსებობდა. სამაგიეროდ ახალციხის მახლობლად არსებობდა „ბორჯომის“ სახელწოდების სოფელი და ხევი.

1770-1772 წლებში გერმანელმა აკადემიკოსმა იოჰან ანტონ გულდენშტეტმა საქართველოში იმოგზაურა, რომელმაც აღწერა სურამიდან დვირამდე არსებული დასახლებები შემდეგი თანმიმდევრობით. **„სურამის სამხრეთით უფრო მაღლა არის ბორჯომი, ახალდაბა, (ციხე), ქმერეთი, ნეძვი, კორტანეთი, ზანავი, ყვიბისი, თორი, ეშმაკთუბანი, ჭალა, ნუა, ფაფა, ლიკანი, ყვერბოლი, პეტრეს ციხე, ჭობისხევი...** და იქვე **„მტკვარი მიედინება სათავიდან ჩრდილოაღმოსავლეთის მიმართულებით ოსმალეთის მიერ დამორჩილებულ და საქართველოსგან მოწყვეტილ ზემო ქართლში ახალდაბა-ბორჯომამდე“.** ეს არის



პირველი შემთხვევა, როცა გერმანელმა მეცნიერმა მოიხსენია „ბორჯომის“ სახელი.

პოეტმა აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ ბორჯომთან დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომლებიც მოსკოვის სამხედრო საისტორიო არქივშია დაცული. აღნიშნული დოკუმენტით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ **დასახლებული პუნქტი „ბორჯომი“ ქვიშხეთის სიახლოვეს ტაშისკრის სათვალთვალო პუნქტთნ არსებობდა. სწორედ იქ იყო მოწყობილი საყარაულო პუნქტი, რომელიც ერეკლე მეორემ მოაწყო ქართლში მტრის შემოჭრისაგან დასაცავად.** სწორედ მაშინ გამოჩნდა მტკვრის ხეობაში სიტყვა „ბორჯომი“. ცნობილი მეცნიერები ერთხმად ამტკიცებენ, რომ სახელი „ბორჯომი“ ტაშისკრის მიდამოებში გადმოიტანეს ახალციხის მახლობლად არსებული 5 კომლიანი სოფლის მოსახლეობამ, რომლებიც ოსმალებს გამოექცნენ და ამ მიდამოებში დასახლდნენ (სხვათაშორის ახალდაბაში არსებული ნასოფლარი ჭაჭარაქიც ახალციხის ურავლის ხეობის მოსახლეობამ გაავრცელა.

საარქივო დოკუმენტებში „ბორჯომის“ სახელი მოიხსენიება 1819 წლიდან. ავალიშვილები, რომლებიც თორელებს შემდეგ ფლობდნენ დღევანდელი ბორჯომის ტერიტორიას, მთავარმართებელს მიმართავდნენ, რომ **„ჟამთა ვითარებისაგან ჩვენი საუკეთესო მამული ბორჯომის ხეობა მტრისაგან რომ არ აოხრებულიყო, ამ მიზაზით ჩვენი ყმებით ვცხოვრობდით აქამდე ბრეთსა“. ავალიშვილები ითხოვენ „ბორჯომის ხეობის ნასოფლარ სადგერში“ თავიანთი ყმებით გადასვლას და რამდენიმე წლით, როგორც მოახალშენეების ბეგარისგან გათავისუფლებას.**

ავალიშვილები 1851 წელს კვლავ უგზავნიან წერილს კავკასიის მთავარმართებელს მიხეილ ვორონცოვს. საიდანაც დასტურდება, რომ ხეობისათვის ბორჯომის სახელწოდება ახალი შერქმეულია და ითხოვენ მამულების დაბრუნებას.

კონკრეტულად რომელ წელს მიანიჭეს ხეობას ან ნუას „ბორჯომის“ სახელი წერილობითი დოკუმენტი დღემდე არაა მოკვლეული, სავარაუდოდ სახელი „ბორჯომი“ გავრცელდა მინერალური წყლის ხელმეორედ აღმოჩენასთან დაკავშირებით. რუსებისათვის „მტკვრის ხეობის“ წარმოთქმა ერთობ რთული იყო, ხოლო ტაშისკრის მიდამოებში არსებული სოფლის მიდამოებში რუსთა „ბორჯომის“ ბლოკჰაუსას არსებობამ განაპირობა „ბორჯომის“ სახელის მთელ ხეობაზე გავრცელება.

„ბორჯომის ბლოკჰაუსიდან“ ხშირად იგზავნებოდა „სადაზვერვო რაზმები“ ხეობაში, სწორედ ამ რაზმების და ჯარის ნაწილების მეშვეობით ოფიციალურ ორგანოებამდე მიაღწია ცნობებმა ხეობაში მინწყლის არსებობის შესახებ. რაც წერილობით დოკუმენტებშიც აისახა. მათ მიერ შეგროვებული მასალები დაედო საფუძვლად 1825 წლის შედგენილ საქართველოს მედიკო-ტოპოგრაფიულ აღწერას სადაც აღნიშნულია, რომ **„მჟავე - გოგირდოვანი“ წყლები ესაზღვრება ახალციხის საფაშოს და ავადმყოფთა მისვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მას ახლავს სამხედრო დაცვა.. მინერალური წყლები სასიკეთოდ მოქმედებს ავადმყოფებზე“.**

1830 წლებიდან გავრცელდა „ბორჯომის“ სახელი, მანამდე მტკვრის ხეობას უწოდებდნენ.

თუ როდის მიენიჭა „ბორჯომს“ ქალაქის სახელი, ეს ცალ;კე თემაა და მომავალში სპეციალურ წერილს შემოგთავაზებთ.

ვალერიან ლომიძე

# მე უბორჯომოდ არ მსურს სიცოცხლე და უბორჯომოდ არ მსურს სიკვდილი!




## ვულოცავთ!

ჩვენს უმშვენიერეს და ულამაზეს **ნაილე ოქროპირიძეს** დაბადების დღეს - 8 სექტემბერს! ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ, სიხარულით სავსე ცხოვრებას საყვარელ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად!

**დიდი სიყვარულით ლალი და ნანული**

### მადლობა

## სოფელი მადლიერია ყურადღებისათვის



**პატივცემულო რედაქციავ!**

**ამ წერილს გწერთ 87 წლის ჭარმაგი მოხუცი, სოფელ დგვარში მცხოვრები ყოფილი მეტყევე, 35 წელი ბორჯომ-ბაკურიანის ტყეების მოვლა-პატრონობას ვემსახურე და უფროსებისაგან არაერთი ჯილდო დავიმსახურე.**

**განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მადლობა მოვახსენო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ოთარ არბოლიშვილს და მის მოადგილეს გიორგი ტაბატაძეს, რომელთა ინიციატივით და დიდი ძალისხმევით ჩემს მშობლიურ სოფელში - დგვარში გაკეთდა სოფელში მისასვლელი გზა, რომელიც წლების მანძილზე მიტოვებული იყო. მახარებს ისიც, რომ ისინი ზრუნავენ მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის, თავიანთ მოვალეობას ასრულებენ კეთილსინდისიერად, რითაც რიგითი მოსახლეობისაგან დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ.**

**გულწრფელად ვულოცავ მერიის ხელმძღვანელობას და ყველა ბორჯომელს სახლხო დღესასწაულს, ,,ბორჯომქალაქობას“, ვუსურვებ დასახული მიზნების და ოცნებების წარმატებით შესრულებას.**

**პატივისცემით გრამიტონ გოგოლაძე,**
**სოფელ დვირის მცხოვრები.**

## მზეთამზელთა სიხარული



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის და „ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამსახურის ინიციატივით, 1 სექტემბრიდან ბორჯომის მუნიციპალურ ტრანსპორტს სოფელ მზეთამზის მიმართულება ემატება.**

**სოფელ მზეთამზიდან მუნიციპალური ავტობუსი პირველ რეისს 08:15 საათზე განახორციელებს, ხოლო ბორჯომიდან 12:00 საათზე. მეორე რეისი სოფელ მზეთამზიდან 14:00 საათზე განხორციელდება, ხოლო ბორჯომიდან 16:30 საათზე.**

**საზოგადოებრივ ტრანსპორტში საბარათე გადახდის სისტემა მუშაობს. ბორჯომი-მზეთამზის ღირებულება 40 თეთრს შეადგენს.**

**მგზავრობის ღირებულების გადახდა თიბისი ბანკის და სამგზავრო ბარათით იქნება შესაძლებელი.**

**მგზავრებს შეუძლიათ სამგზავრო ბარათი თიბისი ბანკის ბორჯომის ფილიალში და სუპერმარკეტ „გუდმარტში“ შეიძინონ.**

## ბორჯომი სამოთხეა დედამიწაზე

**ბორჯომი რომ ერთ-ერთი გამორჩეული კურორტია მსოფლიოში ეს საყოველთაოდაა ცნობილი, თუმცა მასში რომ არის კიდევ რაღაც უნიკალური და ყველასაგან განსხვავებული რაც ანდამატივით იზიდავს როგორც ადგილობრივებს, ასევე ჩამოსულ სტუმრებს, ესეც ფაქტია. თუმცა, განსაკუთრებული დამოკიდებულება თავის მშობლიურ ქალაქთან მაინც ყველაზე მძაფრად აქ მაცხოვრებელებლებს აქვთ. ბორჯომელებზე უკეთ კი საკუთარ ქალაქზე ვერავინ ისაუბრებს. რას ნიშნავს ბორჯომი ჩვენი თანაქალაქელებისათვის და როგორ ბორჯომს ისურვებდნენ ისინი მომავალში, მათ ქუჩაში გავესაუბრეთ:**

**ნინო ხაჩიძე:** - ჩემი ბორჯომი წელიწადის ყველა დროში მიყვარს. აქ წელიწადის ყოველი დრო ხომ გამორჩეული და უნიკალურია. ჰაერი, წყალი, ბუნება, ყველაფერი ის, რაც კიდევ მეტად განსაკუთრებულს ხდის ჩემ ქალაქს. მინდა ყველა ბორჯომელს მივულოცო ჩვენი ლამაზი ქალაქის დღესასწაული, რომელიც წელიწადის ულამაზეს დროს შემოდგომით აღინიშნება და ბორჯომელებთან ერთად ჩვენ სიხარულს სხვებიც იზიარებენ. მინდა, რომ მომავალში ჩემი ქალაქი კიდევ მეტად დამშვენდეს, უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ, უფრო მეტი ადგილი გახდეს სანახავი.

**ლამზირა თინიკაშვილი:** -როდესაც ბორჯომელი გქვია და ბორჯომში ცხოვრობ, მისი ყველა სიხარული გიხარია და ყველა ტკივილი გტკივა. ასე მგონია, რომ ყველა ყველას იცნობს, რაღაცნაირად ერთი დიდი ოჯახია ჩემთვის ბორჯომი და აქ მაცხოვრებელი თითოეული ადამიანი ერთი ოჯახის წევრებივით არიან. ვუსურვებ ბორჯომს კიდევ მეტ წარმატებას, კიდევ მეტად გალაღებულ ადამიანებს, მეტ სამუშაო ადგილს და უფრო ბევრ ტურისტს.

**ლიზა მელიქიძე:** - ასე მგონია, რომ ბორჯომზე ლამაზი ქალაქი არ არსებობს. ბოლო წლებში რაც გაკეთდა, არის ის, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში ყოველდღიურად ტარდება საინტერესო მუსიკალური საღამოები. რამდენიმე მეგობარი უცხოეთიდან იყო ჩამოსული და მითხრეს, რომ თავი ევროპის ქვეყანაში ეგონათ, ისეთი გარემო და სიტუაცია დახვდათ. ჩემი მოკრძალებული აზრით უფრო მეტი სისუფთავე რომ იყოს, უკეთესი იქნებოდა, თუმცა ამასაც ნელ-ნელა მივეჩვევით, რადგანაც ისეთი რთული წლები გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ, რომ თითქოს ახლა ვსწავლობთ ბევრ რამეს. გილოცავთ და ვულოცავ ჩვენ ბორჯომსა და ბორჯომელებს მართლაც ამ საოცარ დღესასწაულს, რასაც ბორჯომობა ჰქვია. ბედნიერებაა, გერქვას ბორჯომელი და გქონდეს იმის წყალობა და მადლი რომ იყო იმ სასწაულის ნაწილი, რასაც ბორჯომი ჰქვია.

**გიორგი მახარაშვილი:** - ბორჯომი ჩემთვის სამოთხეა დედამიწაზე და ყოველი აქ გათენებული დილა წყალობაა ღვთისა, სადაც არ უნდა წავიდე, ყოველთვის აქეთ მომიწევს გული, ყოველთვის აქეთ მომიხარია და სხვაგან ვერც გავძლებ ალბათ. ვულოცავ ჩემ ქალაქს თავისივე სახელობის დღესასწაულს, ბორჯომ-ქალაქობას.

**თემურ ჯინჭარაძე:** - ბორჯომი ჩემთვის დედულეთია, სადაც მთელი ჩემი ბავშვობა გავატარე, სადაც ჩემი შვილები გაიზარდნენ და ახლა შვილიშვილები იზრდებიან. ყოველი ადგილი მიყვარს ბორჯომში, თითოეული ადამიანი მიყვარს და მის გარეშე ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. გილოცავთ, ჩემო ძვირფასო ბორჯომელებო ბორჯომ-ქალაქობას, უფლის მადლი და წყალობა ტრიალებდეს ჩვენ ლამაზ და კოპწია ქალაქში. ერთმანეთის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

**ნატალია მესხელი**

## დასრულდა კოსტავას ბაღის განახლება



**პრემიერ-მინისტრის** გადაწყვეტილებით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის ,,განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერის და მოედნის რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტის ფარგლებში, ბაღის ტერიტორია დაიყო მისასვენებელ და გასართობ სივრცეებად. გასართობ სივრცეებში საბავშვო მოედანი, ჭადრაკის მოედანი და ღია კინოთეატრი მოეწყო. ტერიტორია გალამაზდა შადრევნებით და დეკორატიული განათებებით. ფუნქციური ზონები ერთმანეთს დაუკავშირდა გრანიტის ქვაფენილით, რომელიც განათებულია ლამპიონებით. ტერიტორიაზე განთავსდა სკამები და სასმელი წყლის ბიუვეტები.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 4 200 000 ლარით დაფინანსდა.

სახელმწიფო პროგრამა ,,განახლებული რეგიონები“ 4-წლიანია და საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს მოიცავს. პროგრამის მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარს შეადგენს და რეგიონების ურბანულ განახლებას ითვალისწინებს, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტის მდებარეობების განვითარებას მოიცავს.

## ჩვენი წვლილი მშობლიურ ქალაქს



**ძვირფასო ბორჯომელებო. მაქვს პატივი მოგილოცოთ ,,ბორჯომქალაქობა“. გისურვოთ ყოველივესაუკეთესო, ჯანმრთელობა, სიკეთე და უფლის წყალობა. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ბორჯომი წლიდან წლამდე ვითარდება და ლამაზდება. იგეგმება კიდევ მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც წინაპირობაა იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი ტურისტი ჩამოვიდეს ჩვენს ლამაზ ქალაქში და მეტი სარგებელი მიიღოს ბორჯომის მაცხოვრებლებმა. ჩვენ კი, თითოეულმა ბორჯომელმა ჩვენი წილი წვლილი უნდა შევიტანოთ ჩვენი რაიონის განვითარებისათვის.**

**ელიზბარ სტეფნაძე,**
**სასპორტო სკოლის დირექტორი**

## გვიგულეთ თქვენს გვერდით



**ბორჯომის** ცენტრალური (ისტორიული) პარკის კოლექტივის სახელით, ჩვენს ბორჯომს, ბორჯომელებს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ მართლაც ღისშესანიშნავ დღეს ,,ბორჯომ-ქალაქობას“.

ბორჯომი ყოველთვის იყო, არის და იქნება, არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოელი სტუმრებისათვის სავიზიტო ბარათი. აქედან გამომდინარე, ყველამ უნდა ვაკეთოთ ჩვენი საკეთებელი, რათა ჩვენი ბორჯომი ამ მხრივ იყოს მართლაც გამორჩეული კურორტი.

ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის მთლიანი გუნდი მობილიზებულია ყოველდღიურ რეჟიმში, არ იშურებს ძალასა და ენერგიას, რათა ზაფხულის საკურორტო სეზონი იქნება ეს თუ სხვა პერიოდი, მადლიერი გვყავდეს დამსვენებელი და უცხოელი ვიზიტორი.

კიდევ ერთხელ, ვულოცავ ბორჯომს, ბორჯომელებს და განსაკუთრებული მილოცვა და მადლიერება მინდა გამოვხატო ყველა, იმ ადამინის მიმართ, ვინც თავისი ძალა და ენერგია არ დაიშურა, ბორჯომის აღმშენებლობისათვის.

**ლერი გელაშვილი,**
**ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის დირექტორი**

## ბორჯომ-ქალაქობის პროგრამა

### 2023 წლის 8 სექტემბერი;

**ქ. ბორჯომის მერაბ კოსტავას სახელობის პარკი:**

- **12:00 - სპორტული შეჯიბრებები;**

**ქ. ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი:**

- **12:00 - ადგილობრივ მეწარმეთა ხელნაკეთი სუვენირების ბაზრობა,**
- **12:00 - საგამოფენო ბანერები, დეკორაციები,**
- **14:00 - 21:00 - „ბორჯომის წყლის“ კუთხე,**
- **18:00 - 21:00 - წარმოდგენა - „გაცოცხლებული სურათები“,**
- **18:00 - 21:00 - ბავშვთა სივრცე - მხიარული ანიმატორები, ოჩოფეხები, მარიონეტები და სხვა,**
- **18:00 - 19:15 - კონცერტი ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით: ანსამბლი „ბორჯომი“, ანსამბლი „ოქტავა“, ქართული ეროვნული ცეკვები,**
- **19:30 - მერიის ხელმძღვანელობის მილოცვა ბორჯომელებსა და ბორჯომის სტუმრებს,**
- **19:30 - ბორჯომის საპატიო მოქალაქეების დასახელება და დაჯილდოება,**
- **20:00 - 20:30 - თეატრალური წარმოდგენები („ცეცხლოვანი შოუ“, მოტრიალე რგოლი და სხვა),**
- **21:00 -23:00 - გალა-კონცერტი: ჯგუფი „ფრანი“, მუსიკალური პროექტი „შერეკილები“,**
- **23:00 - ფეიერვერკი.**

**გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59**

**შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.**

**გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.**

მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.**

borjomi@inbox.ru **რედაქტორი:** ვალერიან ლომიძე